



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი  
50საგ  
№4 (452)  
(5779)  
2019

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגורגיה



მოგილოცავთ ფესახს – ებრაელების მონობიდან  
განთავისუფლების დღესასწაულს!

# ქ ნ ე ს ე თ ი — 2019

როგორც ცნობილია, 9 აპრილს ისრაელში ჩატარდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. წინასწარჩვენო პერიოდი ხასიათდებოდა განსაკუთრებული დაძაბულობით. მეტისმეტად დაიძაბა სიტუაცია პარტია „ლიკუდის“ ლიდერის — ბინიამინ ნეთანიაჰუს ირგვლივ, რომელსაც მემარცხენე პარტიები კანონდარღვევებს უკიჟინებდნენ და ამით ცდილობდნენ გზიდან ჩამოეცილებინათ ეს ერთობ გამოცდილი პოლიტიკოსი. პრემიერ ნეთანიაჰუს საპოლიციო დაკითხვაზე ხშირად იბარებდნენ და ისიც სისტემატურად ცხადდებოდა პოლიციაში.

ნელს საპარლამენტო არჩევნებისას ბარიერი 3.25% გახლდათ.

12 აპრილს გამთენიისას გამოქვეყნდა ქნესეთის 21-ე მონვევის არჩევნების საბოლოო შედეგი.

21-ე მონვევის ქნესეთში მანდატები ასე განაწილდა:

- „ლიკუდმა“ მიიღო — 36 მანდატი,
- „კახოლ ლავანმა“ — 35
- „შასმა“ — 8
- „იიადუთ ჰა-თორამ“ — 7

- „ავოდამ“ — 6
- „ხადაშ ტალმა“ — 6
- „მემარჯვენე ძალთა ალიანსმა“ — 5
- „ჩსი“ — (ჩვენი სახლი ისრაელია) — 5
- „მერეცმა“ — 4
- „ქულანუმ“ — 4
- „რაამ-ბალადიმ“ — 4

ასე რომ, მემარჯვენე ძალების კოალიცია (პარტიები „ლიკუდი“, „შასი“, „იიადუთ ჰა თორა“, „ქულანუმ“, „ჩსი“, „მემარჯვენე ძალთა ალიანსი“) რომელსაც ბინიამინ ნეთანიაჰუ მეთაურობს, 120 ნევრიან ქნესეთში 66 მანდატს ფლობს და მთავრობის შექმნის უფლებასაც ის ღებულობს. ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება სხვადასხვა პარტიებთან. ჩამოთვლილ პარტიათა წარმომადგენლები პრეზიდენტთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრის პოსტზე ბინიამინ ნეთანიაჰუს კანდიდატურას წამოაყენებენ.

უკვე დგება შეთანხმების, ე.წ. ვაჭრობის ჟამი — რომელი პარტია რას მიიღებს კოალიციაში გაერთიანები-



სა და ნეთანიაჰუსადმი მხარდაჭერის სანაცვლოდ. შეთანხმების საგანია მინისტრებისა, თუ მათი მოადგილეების პოსტები, პარტიისადმი ფინანსური მხარდაჭერა და სხვ. თუ ნეთანიაჰუმ ჩამოთვლილ პარტიათაგან რომელიმეს მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა, ერთობ კრიტიკული მომენტი დგება და შესაძლოა, მთავრობის შედგენა გაუჭირდეს. ასეთ

შემთხვევაში პრეზიდენტი მთავრობის შედგენას იმას დაავალებს, ვინც პარტიებთან საერთო ენას გამოიხატავს და მიიმხრობს — მემარცხენე ძალებს, რაც ნაკლებ სავარაუდოა.

ქართველ ებრაელთაგან ქნესეთის ნევრი ამჯერადაც ციპი ხოტოველი გახდა — ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. როგორც ჩანს, იგი ამ პოსტს შეინარჩუნებს.

## შეხვედრა ჩერნოგორიის პრეზიდენტთან

ჩერნოგორიის პრეზიდენტის მილო ჯუკანოვიჩის ისრაელში ოფიციალური ვიზიტისას იგი შეხვდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტს მიხეილ მირილაშვილს, გენერალურ დირექტორს ხაიმ ბენ იაკობს და ჩერნოგორიის მთავარ რაბინს არი ედელკოპფს. მიხ. მირილაშვილმა მილო ჯუკანოვიჩთან საუბრისას განიხილა ჩერნოგორიის ებრაული თემის განვითარების, მისი ისტორიის შესწავლისა და ჩერნოგორიასა და ისრაელის ურთიერთობაში ამ რეგიონის ებრაელობის მონაწილეობის საკითხები.

მ. ჯუკანოვიჩმა აღნიშნა, რომ ჩერნოგორია ევროპის ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელობა კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა, რომ ბალკანეთის ამ პატარა სახელმწიფოში, რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა ანტი-სემიტიზმი.

მიხეილ მირილაშვილმა ჩერნოგორიის პრეზიდენტს მადლობა მოახსენა იმისათვის, რომ ამ ქვეყნის ებრაულ თემს გამოუყო მინის ნაკვეთი ებრაული კულტურის ცენტრის ასაშენებლად.



## მანანა დუმბაძის მოთხრობა ისრაელურ ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდა




19 მარტს ისრაელის ქალთა ორგანიზაცია „ბათ ამის“ ინიციატივით, ქ. ბათ-იამის „ეშკოლ ჰაისის“ აუდიტორიაში საქართველოს საელჩოს მრჩევლის, მანანა დუმბაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. შეკრების მთავარი მიზეზი გახლდათ, ისრაელის პრესტიჟულ ლიტერატურულ ჟურნალ „ითონ 77“-ში მანანა დუმბაძის მოთხრობის „კაპროვანის ზონის ლედი მაკბეტი“ პუბლიკაცია ებრაულ ენაზე. მთარგმნელი - ანა კოლი, ტექსტის რედაქტორი - ცნობილი ისრაელელი პოეტი ლალი — ციპი მიხაელი. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ჟურნალის ამ გამოცემას განსაკუთრებული სტატუსი მიუძღვნა ისრაელურმა გაზეთმა „ჰარეც“, რომელშიც მანანა დუმბაძის მოთხრობასაც თვალსაჩინო ადგილი დაეთმო.

19 მარტის შემოქმედებითი საღამო, ფაქტობრივად, ქართველ ებრაელთა თემისთვის ამ მოთხრობის წარდგენა გახლდათ. საღამოს მიჰყავდა „ბათ ამის“ პრეზიდენტს, ქალბატონ ლია კრიხელს და პოეტ ნუგზარ ჯანაშვილს. საღამოს ესწრებოდა და საზოგადოებას მიესალმა ქართველი ებრაელი მწერალი, გაზეთ „მენორას“ რედაქტორი, სახელმძღვანელო დრამატურგი გურამ ბათიაშვილი. მანანა დუმბაძემ აუდიტორიას მოთხრობიდან საკვანძო ნაწყვეტები წაუკითხა. მსახიობმა მეგი რომმა კი ეს ნაწყვეტები ებრაულ ენაზე ააჟღერა. ისრაელში ქართული დიასპორული ორგანიზაციის „მამული“ და პირველი ქართული საკვირაო სკოლის დამაარსებელმა ირაკლი კილაძემ მანანა დუმბაძეს ქართული დიასპორის აქტიური მხარდაჭერისთვის დიასპორის ნომრით პირველი სიგელი გადასცა. პოპულარულმა ისრაელელმა კომპოზიტორმა ალექსანდრე პელემმა საღამო თავის მშვენიერი კომპოზიციებით გაათბო აუდიტორია აამღერა.

საქართველოს საელჩო ულოცავს ქალბატონ მანანას ისრაელის ლიტერატურულ სამყაროსთან დაწყებულ წარმატებულ თანამშრომლობას და მომავალ გამარჯვებებს უსურვებს.

## „ვაჩუქეთ ერთმანეთს სიცოცხლე!“

ცნობილია, რომ ჯემალ სეფიაშვილის სიმღერამ „ვაჩუქეთ ერთმანეთს ტიტები!“ საქართველოს მოსახლეობას დიდი სულიერი შეჭირვების ფაშს სიცოცხლის ხალისი შთაბერა, დაუბრუნა რწმენა საკუთარი თავისა. ზოგჯერ ხდება: ისტორია ლექსს, სიმღერას განსაკუთრებულ მისიას აკისრებს. ამ სიმღერამ რომ ეს განსაკუთრებული მისია წარმატებით შეასრულა — პირგამეხებულ საქართველოს გული გაუთბო და დაანახა ის, რაც კარგად იცოდა, მაგრამ უკულმართმა მოვლენებმა ნაცარი ნააყარა: გარდა მტარვალთაგან სისხლისღვრისა, არსებობს სიყვარული, ძმობა, გატანა, თანადგომა, კიდევ ერთხელ დადასტურდა 9 აპრილს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ მემორიალურ-საზეიმო საღამოზე.



...საქართველო 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა ჯარის მიერ დაჩეხილ ქართველთა სულელების საოხად ფეხზე შემდგარიყო. ეს დღე აღინიშნა იმ სიმღერის იუბილეთი, რომელმაც ხალხი მხნეობისაკენ მოაბრუნა.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზი ტიტების საუფლოდ ქცეულიყო — ასობით ნითლად აელვებული ტიტა... შეკრებით დასაწყისშივე თავად კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი წარუდგა. ისაუბრა სიმღერის თაობაზე, მოიგონა ტექსტის შემქმნელი დიდებული პოეტი და პიროვნება მორის ფოცხიშვილი, უკვე წუთისოფელს გაცლილი სიმღერის პირველი შემსრულებლები, ხოლო ცოცხალნი, კვლავაც ჯანსრულნი და მხნენი, სცენაზე ვიხილეთ — შემომატებულებთან ერთად აღრინდელი შთაგონებით შეასრულეს „ვაჩუქეთ ერთმანეთს ტიტები!“

შემდეგ იყო ყველა თაობის ქართველ შემსრულებელთა ერთგვარი პარადი, და დასასრულს: ამჯერად უკვე მხოლოდ ვაჟებმა — ახალგაზრდა შემსრულებლებმა იმღერეს „ვაჩუქეთ ერთმანეთს ტიტები!“ მაყურებელს დიდხანს არ ენადა მათთან განმორება და მომღერლებმაც კიდევ ერთხელ დაატკბეს მსმენელი დიდებული ჰანგებით.

# ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა



გენერალურ ასამბლეას 17 მარტს უნდა დაეწყოს მუშაობა, მაგრამ იმის გამო, რომ 17 მარტი კვირა გახლდათ და არ იყო გამრიცხული, ზოგიერთ დელეგატს ვერ დაეცვა შაბათის სინმინდე — ვაითუ, სხდომებს ვერ ჩავუხსნოო, ასამბლეა 18 მარტს, ორშაბათს, ნაშუადღევს გაიხსნა. ასე რომ, შაბათის სინმინდის დაცვას არა-რა საფრთხე არ ემუქრებოდა.

ფურცლის წინა დღეები იდგა და კონგრესის პრეზიდენტმა — **მიხეილ მირილაშვილმა** მისასალმებელი სიტყვაში სწორედ ეს თემა წამოსწია წინა პლანზე — „ესთერის, მორდუხას და ამანის ამბავი ხომ დღესაც (სამწუხაროდ!) ისევე აქტუალურია, როგორც ადრეული საუკუნეების სპარსეთის იმპერიაში გახლდათ. დღეს ეს იმპერია აღარ არსებობს, მაგრამ ისრაელის სამეზობლოში ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერს ამანიზმის ისეთი სენი შეყრია, გვჯერა, მის ბედს გაიზიარებენ. სამწუხაროდ, ამგვარი სენით შეპყრობილ ადამიანებს

სის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, რაბინ იეხიელ ეკუტეინის, იაშა ალფანდარის და წინა დღეს გარდაცვლილი ლევ მიხელაშვილის ხსოვნას.

გენერალური ასამბლეის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა **რობერტ ზინგერმა**, რომელმაც ისაუბრა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესთან გააქტიურებულ ურთიერთობაზე,

გენასამბლეის წინაშე ვრცელი მოხსენებით წარსდგა კონგრესის პრეზიდენტი **მიხეილ მირილაშვილი**. იგი ამბობს:

— ძლიერ მოხარული ვარ, ჩვენი კონგრესის გენერალური ასამბლეა ისრაელის მიწაზე რომ იმართება. ეს სიმბოლურიც გახლავთ, რადგან კონგრესის მოქმედების უმთავრესი, ძირითადი მიმართულება ევრ-აზიის რეგიონის ებრაული თემების დაახლოება, ისრაელის სახელმწიფოსთან კავშირის გაძლიერებაა. მსოფლიოს

ბა — მიხ.მირილაშვილმა ბიზნესმენები მიიზიდა — დღეს ბევრ ბიზნესმენს სწადია კონგრესის ვიცე-პრეზიდენტობა, რაც ბიუჯეტის ზრდის საწინდარია — ვიცე-პრეზიდენტობის მოსურნე ბიზნესმენების შენატანებით მოიხაზება ხოლმე კონგრესის წლიური ბიუჯეტი.

მოხსენებით — „ევრ-აზიის რეგიონის ებრაელთა ახალი ტენდენციები“ გამოვიდა კონგრესის სტრატეგიული საბჭოს მეთაური, პროფესორი **მიხეილ ჩლენოვი**.

გაიმართა კონგრესის ახალ წამოწყებათა პრეზენტაცია: ევრ-აზიის ებრაელობის კვლევისა, რომელსაც ხელმძღვანელობს კონგრესის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი **ზეევ ხანინი**, საზოგადოებრივი დიპლომატიისა, რომელსაც უხელმძღვანელებს ადვოკატი **ა. ბულშტეინი**, საგანმანათლებლო „საკვირაო სკოლების ქსელისა“, რომელსაც უხელმძღვანელებს **ვეგენია კალიკოვა**. ეს პროგრამები სრულიად ახალია — კონგრესში ამ საკითხებზე ფიქრობდნენ, ენადათ სამეცნიერო-ისტორიული კვლევებზე, თუ სხვა საკითხებზე მუშაობა, მაგრამ ბიუჯეტი მხრების ასე ფართოდ გაშლის საშუალებას არ იძლეოდა. ამჯერად პრეზიდენტის მასშტაბურმა მიდგომამ ეროვნული საკითხებისადმი, ბიზნესმენტა დაინტერესებამ, ეს შესაძლებელი გახადა.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი სხვა ორგანიზაციებთან ერთადაც ამუშავებს ერთობლივ პროექტებს. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის თანამშრომლობის თაობაზე ისაუბრა მისი პროგრამების კოორდინატორმა **სონია გომეს დე მესკიტამ**, გაიმართა საუბარი იად ვაშემთან ერთობლივი პროექტის — „ჰოლოკოსტი საბჭოთა კავშირში“ თაობაზე.

**გ.ვალდბერგმა** და **ა.ბარონმა** ისაუბრეს რუსეთსა და შუა აზიაში კონგრესის წარმომადგენლობის მუშაობის თაობაზე.

ის დღე პრეზიდენტ **მიხ.მირილაშვილისა** და გამგეობის თავმჯდომარის **ა.ფრენკელის** მიერ გამართული გალავახშამით გასრულდა. ნაჩვენები იქნა გენერალური ასამბლეისადმი ისრაელის პრეზიდენტის **რეუვენ რივლინის** და მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის **როლანდ ლაუდერის** ვიდეომიმარვები.

სიტყვები წარმოსთქვეს ისრაელის მთავარმა რაბინმა **იცხაკ იოსეფმა** და იერუსალიმის საქმეთა მინისტრმა **ზეევ ელკინმა**.

გენერალური ასამბლეის მეორე დღე მთლიანად მიეძღვნა კონგრესის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოში დაფინანსებული პროექტების განხილვას. ამას გარდა, ამათუიმ სახელმწიფოს წარმომადგენლები საუბრობდნენ მათი რეგიონის ებრაელობაზე, იმაზე, თუ როგორია ებრაელთა ყოფა: ურთიერთობა სახელისუფლებო ორგანოებთან, ანტისემიტიზმი, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები და სხვა.

საქართველოდან სიტყვები წარმოთქვეს, თავთავიანთ მუშაობასა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე ისაუბრეს ელენე ბერკოვიჩმა, გურამ თეთრაშვილმა და გურამ ბათიაშვილმა.



ამანის ბედი უკანასკნელ ეტაპზე აგონდებათ — მაშინ როცა გვიანია თითზე კბენანი: ისტორია თავის სათქმელს ამბობს.

მიხეილ მირილაშვილის შემდეგ გენასამბლეის დელეგატებს მიესალმებინა კონგრესის გამგეობის თავმჯდომარე **არონ ფრენკელი**, მორდუხასა და ამანის თემას თავის მისასალმებელ სიტყვაში კონგრესის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **თემურ ბენ-იუდა-ხიხინაშვილიც** შეეხო, რის შემდეგაც წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კონგრე-

ებრაელთა სოლიდარობა ისრაელისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ისრაელის მხარდაჭერა დიასპორის ებრაული თემებისადმი. მოხსენების ძირითადი ნაწილი კონგრესის განვლილ მუშაობას ეხებოდა.

მოხსენებაში გაიჟღერა ერთმა მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ — დღეს კონგრესის ბიუჯეტი 11 მილიონ დოლარს შეადგენს. კონგრესის ბიუჯეტის ასეთი მნიშვნელოვანი, თითქმის გასამაგებელი ზრდა, პრეზიდენტის ავტორიტეტმა განაპირო-

# „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!“

ამასწინათ, ისრაელში ყოფნისას, რომ მითხრეს, კარგი იქნება, თუ ახლადგახსნილ ქართულ საკვირაო სკოლას ესტუმრები, ბავშვებს, მასწავლებლებს გაესაუბრებო, ჯანსუღ ჩარკვიანის ზემოთმოხმობილი სტრიქონი, მთელი დღე დედას ადევნებული ბავშვივით მდევდა თან. „მენორას“ წინა, მესამე ნომერში მანანა დუმბაძემ — ისრაელში საქართველოს საელჩოს მრჩეველმა და პროზაიკოსმა, მკითხველს კი უამბო ამ სკოლის თაობაზე, მაგრამ ნათქვამია, ათჯერ გაგონილს, ერთხელ საკუთარი თვალთ ნანახი სჯობიაო — სკოლის ნახვა, თავადაც მენადა. ამიტომ მიწვევას სიამოვნებით დავეთანხმე: უსათუოდ გეახლებითმეთქი. მითუმეტეს, რომ ერთობ საინტერესო კაცის მეგზურობა აღმიქვს. ისრაელში საქართველოს სათვისტომოს ხელმძღვანელთან, ამ ქვეყანაში ერთობ პრესტიჟულ კერძო საავადმყოფო „ასუნტა“ს ექიმთან ირაკლი კილაძესთან ერთად მიწვევა ქ. ლუდისაკენ მგზავრობა. ამ კაცის ბიოგრაფია, ისრაელში ასე-ლისა და დამკვიდრების, რისი უფლება იმან მისცა, რომ ბებია ჰყოლია ებრაელი, გზა საინტერესო: ავიდა, დამკვიდრდა, მუყაითად იშრომა და ამ ქვეყანაში თავისი ადგილი მოიპოვა: დღეს ესოდენ პრესტიჟულ საავადმყოფოში იღვწის. სათვისტომოს მეთაურობა კი მარწმუნებს: მიუხედავად თავისი წარმატებული სამსახურებრივი, თუ საოჯახო საქმეებისა, ბევრი სხვა მისებრი რეპატრიანტივით, ადგილის დედას ვერ ივიწყებს და სურს აქედან — წმინდა მიწიდანაც ემსახუროს საქართველოს.

ასე რომ, თუ გული გულობს, ე.ი. თუ კაცი კაცობს, შესაძლებელია, მშობლიურ მიწას შორიდანაც მიაშველო შენი მარჯვენა — ვერ ვიტყვი, ისრაელში მოხვედრილ ქართველებზე შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავს-მეთქი: იმაზე ათგზის მეტს

აკეთებს, ვიდრე შესაძლებელია, ამიტომ მესახება იგი იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებიც შთამომავლობას სულიერ მემკვიდრეობას უტოვებენ.

ხოლონიდან ლოდამდე არც ისე შორია, ადამიანებმა საუბრით ერთმანეთს თავი მოაბეზრონ, მაგრამ არც ესე ახლოა, რამდენიმე კარგ ნაშრომებსა და პიროვნებაზე საუბარი ვერ მოასწრო: ირაკლი მიაშბოხს სკოლის შექმნის თაობაზე. — განსაკუთრებით ხაზს უსვამს, საქართველოს საელჩოს როლს ამ ერთობ საჭირო საქმის დაგვირგვინებაში. ვიცი, პაატა კალანდაძე — ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, რაოდენ წინგახედული და გონიერი დიპლომატია. მახსოვს ის დღე, ისრაელში ახლად-დანიშნულ პირველ ელჩთან — პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძესთან ერთად რომ გაემგზავრა, როგორც კონსული და ვიცი, რაოდენ დიდი შრომა გასწია თელ-ავივში საელჩოს ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ მისი თაობის ქართველი ყმანვილები-სათვის დამახასიათებელია ჯიუტმა, თვალმოუხუჭავმა შრომამ მოუპოვა პროფესიონალთა პატივისცემა, მრავალი მეგობარი ამ ქვეყანაში თავმოყრილ დიპლომატიურ წრეებში, ისრაელის სამთავრობო სტრუქტურებში, ქართველ ებრაელობაში: — პაატა? ძმა არის ჩემი — რამდენი ლხინი, თუ ჭირ-ვარამი გამოგვივლია ერთად! — მეუბნებოდა ამასწინათ საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი მორის ჯანაშვილი.

ახლა კი ირაკლი კილაძე მიაშბოხს, პაატა კალანდაძე, მთელი საელჩო, თუ როგორ იღვწოდა ისრაელში ქართული საკვირაო სკოლის ჩამოსაყალიბებლად.

„ცომეთ ხოლონიან“ — ხოლონის გზაჯვარედინთან მარჯვნივ გავუხვიეთ. ირაკლი ახლა სკოლის დირექ-

ტორზე — არჩილ ხუციშვილზე მესაუბრება. დირექტორი პირობითად ეთქმის ამ დაუღლელ, გამრჯე კაცს — სკოლაში ყველაფერი მას ეკითხება. ყველაფერი მისი საზრუნავია. არჩილი კარგა ხანია ისრაელშია, კარგად იცნობს ამ ქვეყანას და სკოლას მოუღლედა დასტრიალებს თავს — ზრუნავს რომ მოსწავლეებმა — უმეტესი მათგანი კი აქ დაიბადა — თავიანთ სამშობლოსთან კავშირი დღითიდღე გაიძლიერონ, რომ მათს სულში საქართველო მუდამდღე არსებობდეს.

და აი, პირველი გამაოგნებელი, თითქმის დაუჯერებელი ინფორმაცია: ილიმბა — დღეს ისრაელში ორმოცდაათი ათასამდე ქართველი ცხოვრობს, შრომობს!

— ორმოცდაათი ათასამდე?! — გაოცებული შევძახე.

— ბევრი არ დააკლდება — მიზუსტებს ბ-ნი ირაკლი.

ეს მართლაც, გამაოგნებელი, დაუჯერებელი ციფრია — ეს იმ ქართველ ებრაელთა ნახევარზე მეტია, რომელიც ისრაელში ავიდა — ერთობ მეტი და იმას ნიშნავს, საქართველოში ათეულ ათასობით ოჯახს ზამთარში არ ცივა და ზაფხულში საჩრდილობელიცა აქვს, სწავლის ქირასაც იხდის და ჩაცმა-დახურვაზეც მიუწვდება ხელი.

და მაგონდება, სოციალურ ქსელებში ამოკითხული ინფორმაცია: უცხოეთიდან საქართველოში წელიწადში 13 მილიონ დოლარამდე იგზავნებაო. აქაც ხომ ინახავენ თავს — აქ უკვე ბევრი ცოლ-შვილით მკვიდრდება.

ამ საუბარში უკვე ლუდშიც



სკოლის დირექტორი, მასწავლებლები, დიპლომატის ხელმძღვანელი. თითქმის ყოველი ამთავანი ილიმბა. საქართველოს უდიდესი.

მოვედით. მახსოვს, ეს მტვრიანი ქალაქი: ისრაელში პირველი ჩამოსვლისას (1988წ.) ვიყავი ამ პირნიმ-დად აზიურ ქალაქში — ცხოვრების აზიური სტილი, არა მხოლოდ ქუჩებში გამოტანილ ჩაიხანებში, პატარ-პატარა სახლებში, ყველგან ყველაფერში იგრძნობოდა. მას შემდეგაც არაერთხელ ვყოფილვარ აქ — ახლა კი მრავალსართულიან ერთობ ევროპული ხასიათის ქალაქს ვხედავ.

— თქვენ რომ გახსოვთ, ის უბანიც არსებობს, მას შემდეგ აქეთ ახალი ქალაქი გაშენდა — მეუბნება ირაკლი.

ლუდში რატომ გაიხსნა ქართული საკვირაო სკოლა?

ამ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ გუშინ მომცა ნანა ბერაძემ — თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ყოფილი მსახიობმა. მსახიობი კი, მოგეხსენებათ, ყოფილი არ არსებობს — იგი სადაც არ უნდა იყოს, მსახიობია, მითუმეტეს თეატრის მოყვარული ადამიანები თუ ჰპოვა იმ გარემოში, სადაც თავად უხდება ცხოვრება. ნანა კი ლამის ორი ათეული წელია ისრაელში ცხოვრობს და თეატრალური საქმიანობა არ შეუწყვეტია — მართავს ქართული პოეზიის სადამოებს, კითხულობს ქართველ, თუ ებრაელ პოეტთა ლექსებს. ახლაც, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისისათვის, საგანგებო პროგრამას ამზადებს და ისევ ისრაელის ებრაელი და ქართველი ქალების მეოხებით:

— რამდენიმე წლის წინათ, ქართველი ბიზნესმენების ძალისხმევით ლუდში შეიძინეს სახლი — ვილა, რომელიც შემდეგ საპატრიარქოს გადასცეს. ამ ვილას საპატრიარქო ისრაელში თავისი საქმიანობისათვის იყენებს, შაბათობით კი იგი საკვირაო სკოლას დაუთმეს.

აჰა, ეს სახლიც! კარი შევალეთ თუ არა, ბავშვების ქართული სიმღერა მოგვეგება. მათი ხმა საამოდ გაისმოდა. იქვე ტრიპალბა დირექტორი არჩილ ხუციშვილი.

ეს სკოლა, როგორც უკვე ითქვა, შაბათობით მუშაობს — ამ დღეს ისრაელის სკოლები ისვენებენ. ამდენად, ბავშვები თავთავიანთი სკოლებიდან თავისუფალნი არიან და დღის უმეტეს ნაწილს სწორედ აქ — ქართულ საკვირაო სკოლაში ატარებენ. ყოველი ქართველი ბავშვის სახეზე სიხარული ამოვიკითხე. ზოგიერთ მათგანს საქართველო არც უნახავს და სიხარულს ანიჭებთ ის, რომ დღეს ქართულ სამყაროში ტრიალებენ. ბავშვების სიხარული, ცხადია,



ყურადღებით დააკვირდით ამ ბავშვების სახეებს, იქნებ, დაიმახსოვროთ კიდევ. დღეს ისინი უცხო გარემოს ვერც გრძნობენ, რადგან ზოგმა მათგანმა აქ აიღვა ენაცა და ფეხიც. მათთვის ეს ჩვეულებრივი გარემოა, მაგრამ დადგება, უსათუოდ დადგება დღე, როცა ისინი სამშობლოს მოიკითხავენ, სამშობლოც მოიკითხავს მათ და... სწორედ ამ დღისთვის შეიქმნა ეს სკოლა. და ისინი ქართული ერთა და ენით, საქართველოს გაცნობიერებული სიყვარულით მიუბრუნდებიან ადგილის დედას.



ირაკლი კილაძეს ისტორიამ მისცა შანსი თავისი ადგილი დაიმკვიდროს დიასპორაში მოქცეული ქართველების ცხოვრებაში.

ასეთი შანსი ადამიანს ყოველთვის როდი ეძლევა.

ეს ახალგაზრდა და ენერგიული კაცი, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

სასიამოვნო და ანგარიშგასანევია, მაგრამ მე განსაკუთრებული პატივისცემით მათი მშობლების მიმართ აღვივსე, რადგან ვიცი, შაბათს, თუ რაოდენ რთულია გადაადგილება: ამ დღეს ხომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მუშაობს. არადა, ზოგიერთი ბავშვი იერუსალიმიდან მოჰყავთ, ზოგიერთი — ამქელონიდან, ზოგიერთი კი უფრო შორეული ქალაქებიდან. ეს კი, თუ საკუთარი მანქანა არა გყავს, საკმაოდ რთულია. ამქელონიდან ჩამოსულ ერთ-ერთ მშობელს გამოველაპარაკე: ეს კაცი აქ არცთუ იოლ სამუშაოს ასრულებს. სხვაგვარად ვერც თავს გაიტანდა და ვერც საქართველოში დარჩენილთ შეუქმნიდა ცხოვრების პირობებს — ამათი ხელფასი ხომ ორი ათასი დოლარის ირგვლივ ტრიალებს, ზოგჯერ მეტიც გახლავთ. ერთადერთი დღე, როცა მათ დასვენება ძალუძთ, საკუთარ თავსაც მიხედონ და თვალს წყალი დააღვივონ, შაბათი გახლავთ, მაგრამ ამ დღის უმეტესი ნაწილი ლუდში ნასვლა-დაბრუნებაში, იქ ბავშვის მეცადინეობის მოლოდინში გატარებს.

ამიტომ მინდა მკითხველს დავუხსვა კითხვა: არიან თუ არა, ეს ადამიანები ძლიერი ეროვნული სულისკვეთებისა. მათ სწამთ პოეტის

შეძახილი: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!“ ამათი ეროვნული ფესვები ძლიერია და არასოდეს გახმება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სკოლას დახმარება გაუწია, მაგრამ...რომ არა მშობლების ძალისხმევა ძლიერ გაჭირდებოდა. სკოლას გარდა შენობისა და სპეციფიკური ინვეტარისა, ათასი რამ სჭირდება. რასაც ფინანსების გარეშე ვერ მოიპოვებ. ყველაფერ ამას მშობლების შემონიშნულება აგვარებს.

— საგარეო საქმეთა სამინისტრომ საელჩოს გზით ბევრი რამ მოგვანოდა, თუმცა, მშობლების შემონიშნულობა, ძალიან მნიშვნელოვანია — ამბობს არჩილ ხუციშვილი.

მასწავლებლები? ესენი ვინ არიან? ზოგი ამათგანი გუშინ — გუშინდინ საქართველოში მასწავლებლობდა.



ნანა ბერაძე ახლაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე ფიქრობს. როგორ? რანაერად? ვისთან ერთად?

დღეს კი ხიზანია, რათა ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას შეენიოს, მაგრამ თავთავიანთი ეროვნული სულისკვეთების გამო, მომქანცველი კვირის შემდეგ ერთადერთ დასვენების დღესაც კი აქ მოდიან.

ბავშვების გასტუმრების შემდეგ ირაკლი კილაძე, ნანა ბერაძე, არჩილ ხუციშვილი, ქართულის მასწავლებლები: ფიქრია ლეჟავა, შორენა მიქაევა, მაია დოლიაშვილი, ხატვის მასწავლებელი მარი ხეთაგური, სიმ-

ლერის მასწავლებელი თათია ელბაქიძე, ხათუნა ასათიანი, ციური დადემელი იუდეველთა სახელმწიფოში თავმოყრილ ქართველობაზე ვსაუბრობდით, შორენა მიქაევა მეგრულად თარგმნილი ვეფხისტყაოსანი რომ წამოინყო. კარგა ოცი სტროფი ისე წარმოსთქვა, ერთხელაც არ წაბორძიკებულა. ნანა ბერაძე ამბობს, მთელი პოემა ზეპირად იცის და ხშირად გვიკითხავსო.

ქალები თავთავიანთ ყოველდღიურობაზე საუბრობენ. არ მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ რაოდენ რთული ყოფა აქვთ. მე ძალიან კარგად ვიცი იმათი ყოფაც, ვინც ამათ ხელფასს უხდის, იქნებ, უკეთ, ვიდრე ამათი. მათი უმეტესობა როგორც იტყვიან, ნელზე ფეხს იდგამს, რომ ოჯახური ჭაპანი ზიდონ — ყოფა არსად არ არის იოლი, მთუმეტეს რეპატრიანტებისა, მაგრამ ხიზანი მაინც სხვაა, ხიზანის ყოფა ათგზის მძიმეა — რაოდენ კარგ ოჯახში, ქარხანასა, თუ სუპერმარკეტში არ უნდა მოხედეს, რაოდენ კარგი ანაზღაურებაც არ უნდა ჰქონდეს, მშობლიურ კერას დამორებულნი, მაინც ... შიში?

დიახ, ყოველ ამათგანს თან სდევს შიში, რადგან არალეგალურ ცხოვრებას ენევიან — სახელმწიფოში შემოსვლა კი მოახერხეს, მაგრამ კანონდარღვევით ცხოვრობენ. ამას კი შესაძლოა, ერთობ დრამატული გაგრძელება მოჰყვეს: სესხად აღებული ფინანსებით წასულნი, შესაძლოა, ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად გამოისტუმრონ და...რა უყონ ვალებს, ბანკისა იქნება, თუ ნათესავ-ნაცნობებისა, იმ ადამიანებს, რომლებიც მათზე არიან დამოკიდე-



ვეფხისტყაოსან კოთხულობს, მაგრამ ვეფხისტყაოსნის შემქმნელი ქვეყანა შორსაა, ძალიან შორს, საზრუნავი და საფიქრალი კი — ათასი.

ბუღინი — მათი შრომით სჭამენ ლუქმას.

სამშობლოსადმი საყვედურსაც გამოსთქვამენ, უფრო ზუსტად, ხელისუფლებისადმი. მე ეს საყვედურები და გაქილიკება უმეტეს შემთხვევაში გადაჭარბებულად და ამა-თუიმ პოლიტიკოსის გავლენად მეჩვენება და არ მსურს ქალბატონებს ამგვარ საუბარში შეეყვე, რადგან პარტიები, პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, ის კი, რასაც ესენი მსახურებენ — ოჯახი, შთამომავლობაზე ზრუნვა, მარადიულია და ვფიქრობ:

— ღმერთმა დიდხანს მისცთ ძალა, ჯანმრთელობა, რომ კვლავაც შეეხიდონ თავთავიანთ ოჯახებს!

გ. ბათიაშვილი

### დებორტაცია

25 მარტს ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის რეგისტრაციისა და მიგრაციის სამმართველომ ნეს ციონის დასახლებაში დააკავა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ჩასული 29 არალეგალურად მომუშავე პირი — 22 ქალი და 7 მამაკაცი. დაკავებულთაგან 22 პირი უკრაინის მოქალაქეა, 4 — საქართველოსი, თითო-თითო რუსეთის, პოლონეთისა და მოლდოვისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორებმა დააზუსტეს, რომ ყოველი მათგანი ისრაელში სათანადო ვიზით — მიწვევით ჩავიდა, მაგრამ კანონით ნებადართული დროის გასვლის შემდეგ, ქვეყანა არ დატოვეს და არალეგალურად ცხოვრობდნენ. ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს ინფორმაციით 2018 წლის ბოლოს ისრაელში 167 ათასი უცხოელი არალეგალურად მომუშავე და პირი იმყოფებოდა. ამათი მესამედი სახელმწიფოში ტურისტებად შევიდნენ, მაგრამ თავთავიანთ სამშობლოში აღარ დაბრუნდნენ.

### იდიშური კულტურის თაობაზე

იდიშსა — ევროპის ებრაელობის სალაპარაკო ენასა, რომელიც გერმანული ენის ბაზაზეა წარმოშობილი და ივრითს შორის არა-რა ბრძოლა-დაპირისპირება არ ყოფილა. უბრალოდ, ისტორიულ სამშობლოში მიბრუნებულმა ერმა გადაწყვიტა იმ ენაზე ეაზროვნა, ეწერა და საერთოდ იმ ენით წარემართა ცხოვრება, რომელზეც მშობლიურ მიწაზე წინაპრები ეწოდნენ ცხოვრების ჭაპანს — ქმნიდნენ გენიალურ, საკაცობრიო ლიტერატურას. ივრითი გახლდათ ხერხემალი ებრაელი ერისა და ბუნებრივია, რომ ერი მას მიუბრუნდა. ეს ხალხის არჩევანი იყო.

ამ გარემოებამ იდიში, თითქოს მივიწყებისათვის განირა. ეძლეოდა კიდევ ეს ენა დავინყებას, მაგრამ ბოლო წლებში მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი ცდილობს მდგომარეობა შემოატრიალოს — ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს (კონგრესში ამ პროგრამას იციკ ავერბუხი ხელმძღვანელობს — ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენს რეგიონში „ჯონის“ წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა), რათა იდიში კვლავაც განაგრძობდეს არსებობას — ამ ენის უკუგდება-მივიწყებაც ხომ უსამართლობა იქნებოდა. მე-18-20 საუკუნეებში ამ ენაზე უზარმაზარი მხატვრული ლიტერატურა შეიქმნა — ამ ენაზე მოღვაწე პოლიტიკოსებმაც შეამზადეს ნიადაგი ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის — არა მარტო დიდი ებრაელი მწერლები თხზავდნენ ამ

ენაზე, დიდი პოლიტიკოსებიც აზროვნებდნენ. მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში კი რამდენიმე იდიშურენოვანი მწერალი შევიდა. თუნდაც მენდელე მოიხერ სფორიმისა და შოლომ ალეიხემის სახელები რად ღირს!

იდიშურენოვანი კულტურის რაობას კიდევ ერთხელ გადაავლებდა თვალს ის, ვინც 12 აპრილს შ.რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დ. ალექსიძის სახ. სასწავლო თეატრის დარბაზში „ჯონის“ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (დირექტორი ე.ბერკოვიჩი) მიერ ორგანიზებულ ლექციებს დაესწრო. საამისოდ მან თბილისში მოიწვია დოქტორი, იდიშის კულტურისა და ენის საერთაშორისო აკადემიური ცენტრის დირექტორი მორდეხაი იუშკოვსკი.

პირველი ლექცია იდიშურენოვან თეატრს ეძღვნებოდა, მორდეხაი იუშკოვსკიმ ვრცლად ისაუბრა იდიშურ ლიტერატურაზე, მიმოიხილა ყოველი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მწერლის შემოქმედება და მსმენელს გააცნო იდიშურენოვანი თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება და ტრაგიკული ბედი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მ. იუშკოვსკიმ კიდევ ერთხელ გადაგვახსენებინა თვალის გენიალური მსახიობის — სოლომონ მიხოელის შემოქმედებაზე.


მეორე ლექცია კი მარკ შაგალის — ამ ვიტებსკელი გენიალური მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნებოდა. ლექციის საყრდენი მ. შაგალის ქმნილებათა ფოტოკოლაჟი და მისი ჩინებული მემუარული ნიგნი „ჩემი ცხოვრება“



გახლდათ. ყურადსაღებია თბილისის ებრაელობის ინტერესი ამ ლექციებისადმი, რაც ადასტურებს: თემის წევრები მოწყურებული გახლავან ამგვარი შემეცნებითი ხასიათის შეხვედრებს.

ქართველი ებრაელობა შინ და გარეთ

პროფესორი  
იცხაკ  
(ისააკ)  
ელიშაკოვის  
თაობაზე



Isaac Elishakoff

During the calendar year of 2018, Dr Elishakoff published 19 scientific papers in leading international journals on various fields of engineering mechanics. In summer 2018 he served as the Visiting Professor at the University of "La Sapienza" in Rome, Italy where he gave 3 invited lectures and conducted joint research with his Italian hosts; likewise, he served as Edmund Safra Visiting Distinguished Professor at the Technion—Israel Institute of Technology, where he gave an invited lecture and conducted joint research with Israeli, Italian and Russian scientists. In November 2018 he gave a Plenary Lecture "Recent Developments in Uncertainty analysis in Engineering" at the First International Conference on Science and Engineering in Baku, Azerbaijan. Also, in 2018 he served as a Member of International Scientific Committee, International Conference on Sound and Vibration, Boston.

ამერიკის შეერთებული შტატების ტექნოლოგიური სიახლეებისადმი მიძღვნილ ბუკლეტში პროფესორ ისააკ ელიშაკოვის სტატია ეძღვნება.

სტატიაში ვკითხულობთ: 2018 კალენდარული წლის განმავლობაში, ფლორიდის ატლანტიკური უნივერსიტეტის დამსახურებულმა პროფესორმა ისააკ ელიშაკოვმა წამყვან საერთაშორისო ჟურნალებში გამოაქვეყნა 19 სამეცნიერო ნაშრომი საინჟინრო მექანიკის სხვადასხვა სფეროების შესახებ.

2018 წლის ზაფხულში ის მუშაობდა, როგორც მინვეული პროფესორი „ლა საპიენზას“ (ა შაპიენზა) უნივერსიტეტში, რომი, იტალია, სადაც მან სამი ლექცია ჩაატარა და მონაწილეობა მიიღო ერთობლივ კვლევაში, იტალიელ მასპინძლებთან ერთად. გარდა ამისა, ის მუშაობდა, როგორც ედმუნდ საფრას მონვეული პროფესორი ტექნიონში, ტექნოლოგიური ინსტიტუტში, სადაც ლექციები წაიკითხა და ჩაატარა ერთობლივი კვლევა ისრაელელ, რუს და იტალიელ მეცნიერებთან ერთად.

2018 წლის ნოემბერში ჩაატარა პლენარული ლექცია „ბოლო დროს მიღწევები გაურკვეველობების ანალიზში, მექანიკის დარგში“, მეცნიერების და ინჟინერიის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ბაკოში, აზერბაიჯანში.

აგრეთვე 2018 წელს ი. ელიშაკოვი მუშაობდა როგორც საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი, ხმისა და ვიბრაციის საერთაშორისო კონფერენციაზე, ბოსტონში.

დოქტორმა ი. ელიშაკოვმა 5 წლის განმავლობაში გამოაქვეყნა შემდეგი ნიგნები:

„მოცე საუკუნის დრეკადი მდგრადობის უმთავრესი პრობლემის მოხსნა“. სინგაპური, 2014 წ.

„მასალების ფუნქციური გრადიენტული კონსტრუქციების მექანიკა“, სინგაპური, 2015 წ.

„ალბათობის მეთოდები კონსტრუქციებში: მასალათა გამძლეობაში, შემთხვევით ვიბრაციებში და მდგრადობის დაკარგვაში“, სინგაპური, 2018 წ.

„სახელმძღვანელო ალბათობის მეთოდების სტრუქტურის თეორიაში. სინგაპური, 2018 წ.

საერთოდ დღემდე, დოქტორ ელიშაკოვის 30-მდე ნიგნი აქვს დანერგილი. მიმდინარე წელს იგი გეგმავს, მე-500 სამეცნიერო პუბლიკაცია დაბეჭდოს საერთაშორისო ჟურნალებში. 2016-ში, ASME-ს (მექანიკური ინჟინრების ამერიკული საზოგადოება) კონრესის განმავლობაში, ის დაჯილდოვდა ვარნერ რიდ ვორნერის მედლით ლიტერატურაში „მნიშვნელოვანი წვლილისთვის, საინჟინრო ლიტერატურის მუდმივი კვლევისთვის, უაღრესად რეიტინგული ნიგნების მეშვეობით, ალბათობის თეორიის სტრუქტურაზე, ელასტიურ სტაბილურობაზე, სასრული ელემენტის სტოქასტურ მეთოდზე, უსაფრთხოების ფაქტორებზე და კომპოზიციური კონსტრუქციების საიმედოობაზე, და მრავალი წარმატებული კვლევითი ნაშრომისთვის“

გასული ხუთი წლის განმავლობაში ის განაგრძობდა მუშაობას, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი 19 საერთაშორისო ჟურნალებში და ასოცირებულ რედაქტორად 4 ჟურნალში. დღესაც განაგრძობს მუშაობას როგორც:

ა. მთავარი მრჩეველი-რედაქტორი პუბლიკაციებზე რხევების, მდგრადობის, საიმედოობის

შესახებ გამოყენებითი მექანიკის სერიის შესწავლისთვის. ელსევიერში (Elsevier) ჰოლანდია.

ბ. 1988 წლიდან მუშაობს მთავარ მრჩეველ რედაქტორად, სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში განვითარებული მოვლენების სერიისთვის, ელსევიერის (Elsevier) სამეცნიერო გამომცემლობაში, ოქსფორდში.

გ. სარედაქციო კოლეგიის მრჩეველად, შპრინგერის (Springer) წიგნის სერიისთვის, ინჟინერიის რისკების შესახებ. გერმანია.

დ. როგორც სამეცნიერო რედაქტორი, ISTE-Wiley-ს (International Society for Technology in Education - საერთაშორისო საზოგადოება ტექნოლოგიის განათლებაში, არის არაკომერციული გაერთიანება, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე) გამომცემლების მიერ გამოცემული სერიებისთვის საინჟინრო მექანიკაში და მყარ მექანიკაში. ლონდონი, იგნლისი.

2019 წელს ი. ელიშაკოვი დაჯილდოვდა William Johnson International Inter - Professional Founders Award.

იცხაკ (ისააკ) ელიშაკოვი თვლის, რომ შესანიშნავი განათლება, რომელიც მან მიიღო სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ ქართულ სკოლაში და მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში, არის მისი წარმატების საინტელექტუალური.

რედაქციისათვის: იცხაკ (ისააკ) ელიშაკოვი ერთ-ერთი იმ ქართველ ებრაელთაგანია, რომელიც წარმოაჩენს ქართველი ებრაელობის ღირსებას. ამ ჩინებულ მეცნიერსა და პიროვნებას ვუსურვებთ დიდ სამეცნიერო წარმატებას!

„კმარა სიცრუე!“

ცნობილი გერმანელი ტელენამყვანი ანდრეა კიველი, რომელიც მონმე გახდა მარტის დასასრულს ლაზასთან დაკავშირებული მოვლენებისა, აღშფოთებულია ისრაელისადმი ტენდენციური დამოკიდებულებით და 1 აპრილს თავის ფეისბუკგვერდზე კოლეგებს მიმართავს: „იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისრაელი არ გიყვართ, ვალდებული ხართ წერთ სიმართლე!“

ანდრეა კიველი, რომელიც გერმანიის სახელმწიფო ტელეარხზე (ZDF) ახალი ამბების გადაცემას ამზადებს და მიჰყავს, მარტში, როცა ლაზადან ისრაელს რაკეტები დაუშინეს, ისრაელში იმყოფებოდა და თავად შეესწრო ყველაფერს — ნახა ერთი რაკეტა საცხოვრებელ სახლს რომ დაეცა და 7 ადამიანი დაჟრა. იგი იმის მოწმეც გახდა, თუ როგორ იყო, „ცაჰალის“ რეაქცია და მერე პალესტინელებმა როგორ აურ-ზაური მოაწყეს საზღვარზე.

ჟურნალისტიკის აღშფოთება გამოიწვია ამ მოვლენებისადმი მიძღვნილმა სიუჟეტმა, რომელიც გავიდა Tagesschau-ს ეთერში. „ისრაელის არმია მძიმე დარტყმებს აყენებს ლაზას სექტორს“ გადმოსცა ტელეარხმა და აჩვენა შესაბამისი ფოტოები, ბოლოში კი მოკლე წინადადებათ აუწყა მაყურებელს იმაზე, რომ ეს იყო პასუხი „ჰამასის“ თავდასხმაზე. მაყურებელს ისიც კი დაუმალეს, რომ რაკეტა სახლს დაეცა.

ანდრეა კიველი სიუჟეტის ავტორებს მიმართავს: — ძვირფასო კოლეგებო, თქვენ ძალიან ცდებით, მე იქ ვიყავი და ყველაფერი თავად ვნახე. ისრაელმა მხოლოდ პასუხი გასცა. მეტი არაფერი! თქვენ არავინ არ გთხოვთ გიყვარდეთ ისრაელი, შეიძლება არ გიყვარდეთ აპირიტეკბდეთ ისრაელს, უხერხულ შეკითხვებსაც აძლევდეთ, მაგრამ თუ თქვენ ჟურნალისტებად მიიჩნევთ თავს, ვალდებული ხართ ილაპარაკოთ სიმართლე!“

37 წლის შემდეგ

4 აპრილის საღამო ხანს იერუსალიმში ჰერცლის მთაზე დაკრძალეს „ცაჰალის“ უფროსი სერჟანტი ზაქარია ბაუმელი.

ჯარისკაცის დასაფლავებას ესწრებოდნენ პრეზიდენტი რეუვენ რივლინი, პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ, პარლამენტის სპიკერი იული ედელშტეინი, გენერალური შტაბის უფროსი ავივ კოხავი, ჯარისკაცის ნათესავები.

დასაფლავების ცერემონიაზე ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა თქვა:

— დღეს ისრაელის სახელმწიფო ასრულებს ფიცს, რომელიც მისცა თავის ჯარისკაცებს, ჩვენს ვაჟებსა და გოგონებს. ვაკეთებთ და გავაკეთებთ ყველაფერს, შეუძლებელსაც კი, იმისათვის რომ სამშობლოში დავაბრუნოთ ბრძოლის ველზე დაცემული ჩვენი შვილები — ისრაელის ჯარისკაცები. ჩვენს მებრძოლებს კიდევ ერთხელ აღუთქვამთ: ჩვენს წმიდათა-წმიდა მოვალეობას არასოდეს დავიწყებთ — ყოველთვის მშობლიურ მიწაზე დავაბრუნებთ იმათ, ვინც სამშობლოსათვის დაეცა.

1982 წლის 10-11 ივნისის სამხედრო ოპერაციის „მშვიდობა გალილეთს“ მიმდინარეობისას, ისრაელისა და სირიის სამხედრო ძალებს შორის სულთან-იაკუბთან ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში სამი მებრძოლი: ზაქარია ბაუმელი, ცვი ფელდმანი და იეუდა კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდნენ.

როგორც გაირკვა, ისრაელის დაზვერვა ინტენსიურად ეძებდა დაღუპულ ჯარისკაცებს და როცა მიაგნეს, ზაქარიას ნეშტი სირიის ლტოლვილთა ბანაკ იარმუკიდან ისრაელს რუსეთის ჩარევით გადმოეცა.

ბინიამინ ნეთანიაჰუ სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან ერთად რამდენიმე საათით ჩაფრინდა მოსკოვში, რათა უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცის სამშობლოში დაბრუნებაში განეული დახმარებისათვის მადლობა მოეხსენებინა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისათვის.

ვინ შექმნა „მოსადი“

ისრაელში 68 წლის წინათ — 1951 წ 1 აპრილს შეიქმნა საგარეო დაზვერვის სამსახური „მოსადი“, რომელიც მთელ მსოფლიოში საუკეთესო სპეცსამსახურად მიიჩნევა. მისი მთავარი ამოცანაა სადაზვერვო მასალების მოპოვება, განზოგადება და გაანალიზება. ორგანიზაცია დროდადრო ეწევა ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერთა ლიკვიდაციას. ამ ოპერაციებს მეთვლიად ისრაელის სპეცრაზმის მეოხებით ასრულებს.

„მოსადის“ დამფუძნებელი ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი დავით ბენ გურიონია. სწორედ მან მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს ამგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბების წინადადება. პრაქტიკულად კი ეს იდეა განახორციელა 1948-1963 წლებში ისრაელის დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ისერ ხარელმა, ანუ ისრაელ ნათანის-ძე გალპერინმა, რომელიც ისრაელში ბელორუსიდან — ვიტებსკიდან გახლდათ ჩასული. ყველა სადაზვერვო ოპერაციას თვითონ ხელმძღვანელობდა და მხოლოდ პრემიერ-მინისტრის — დავით ბენ გურიონის წინაშე გახლდათ ანგარიშვალდებული, ამდენად იგი სახელმწიფოში მეორე პირად მიიჩნეოდა. „მოსადთან“ მან შექმნა სადაზვერვო სკოლა. სწორედ ისერ ხარელის სახელთან არის დაკავშირებული ებრაელთა მოსკოვის ფაშისტური გეგმის განმარტოვების ადოლფ ეიხმანის არგენტინაში მიგნება, დაპატიმრება და ისრაელში გასამართლება.

# რას ვკითხვართ უკრაინაში? რაბინის კუთხე

## აბაღის მოისამენის თაობაზე



ავიგდელს ბონჩ-ბრუევიჩი

„შულხან ყარუხში“ ნათქვამია, რომ საფესახო აგადა ისე უნდა უამბონ ადამიანებს, რომ გასაგები იყოს დიდისთვისაც და პატარასთვისაც. სწრაფად ნაკითხვა არ კმარა, საჭიროა ახსნაც. ამიტომ, სედერისათვის წინასწარ უნდა მოვეზადოთ. რამხალი გვიხსნის, რომ ღამით ვაკეთებთ საფესახო სედერს რადგან ეგვიპტიდან გამოსვლისას ებრაელები სხვა ხალხებს შორის ამოირჩიეს. გამ-ნმა ებრაელები უკიდურესი მატერიალურობიდან იმისათვის გამოიყვანა, რომ სულიერად ამაღლება შეძლებოდათ. მანამდე კი ებრაელთა სხეულებში უწმინდურობა იმდენად ძლიერ იყო გამჯდარი, რომ თორის სინათლე იმათშიც კი ვერ აღწევდა, ვინც თორას სწავლობდა. ყველა ის სატანჯველი, რაც ებრაელებს ეგვიპტეში ჰქონდათ, საჭირო იყო იმისათვის, რომ ბრალმდებელს არ დაედან-შაულებინა ისინი. ტანჯვა კი აუტანელი ჰქონდათ. გამ-მა ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლისას დიდი სასწაულები მოახდინა. რამხალი გვეუბნება, რომ ვინც საფესახო სედერი ისე ჩაატარა, როგორც საჭიროა, ღებულობს ისეთივე სინათლეს, როგორც ეგვიპტიდან გამოსვლისას იყო. ამას უკვე თავისუფლებამდე მივყავართ. მაგრამ, საფესახო სედერზე არის ოთხი აუცილებელი რამ – ფესახი, მაცა, მარორი და ოთხი ჭიქა ღვინო. ის ხსნის, რომ გალუთი საჭირო იყო ებრაელი ხალხის გასაკაჟებლად, რათა მას შეძლებოდა უდიდესი სინათლის მიღება. ამის შესახებ მიგვანიშნებს მარორი (ვაე-მარერუ ეთ ხაეჰემ). სიმნარისა და ტანჯვის გარეშე ადამიანს არ შეუძლია დიდი სინათლის სწორად აღქმა. მაგრამ, როდესაც მოვიდა დრო, გამ-ნი გაიხსნა ხალხის წინაშე და უჩვენა თავისი სინათლე. მას მიეკვრნენ ებრაელები და მაქსიმალური სიღრმეიდან უმადლეს დონემდე ამაღლდნენ. ეს

მოხდა „კორბან ფესახის“ (საფესახო შესანიშნავი) დახმარებით. მაგრამ, თუ სინათლე, სინამდვილე გავიხსნა, უნდა გვექონდეს იმის უნარი, რომ მივიღოთ ის, გვატაროთ ჩვენში. ამიტომაც მისცა გამ-ნმა ებრაელებს შვიდი დღის მანძილზე მაცის მირთმევის მცნება (მიცვა). ის სულიერი საკვების სიმბოლოა, „იეც-ერ ჰატოვ“ (კარგი საწყისი) „იეცერ ჰარას“ (ცუდი საწყისი) გარეშე. პური, რომელიც დუღილის შედეგად მიიღება, არის სიამაყის, სურვილების სიმბოლო, მაცა კი – თავმდაბლობისა. ამგვარად, ებრაელები უნდა მომზადებულიყვნენ, საკუთარი თავისაგან ის ჭურჭელი შეექმნათ, რომელსაც შეუძლია გამ-ნის სინათლის მიღება. გვეუბნებიან კაბალისტები, რომ იმ სინათლეს, რომელსაც ადამიანი სედერის ღამეს ღებულობს, მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს. რა არის ოთხი ჭიქა ღვინო? გვეუბნება რამხალი, რომ „სიტრა ახარა“-ს (უწმინდურობის ძალას) ოთხი დონე აქვს. ყველა მათგანმა პირველი ადამიანის ცოდვის შემდეგ დაიწყო მოქმედება. ებრაელები მთლიანად იყვნენ მათით შებოჭილი და ვერ აღწევდნენ თავს, მანამ გამ-ნმა არ დაამსხვრია ყველა ზღუდე (კლიპა). ეს ჩადებულია ხსნის ოთხ ენაში: ნარმოიდგინეთ, რომ ვიღაც ტოტს ჭრის. პირველი დარტყმით მან რაიმეს მიაღწია? გვეჩვენება, რომ არაფერს, მაგრამ ეს ასე არაა – მან ძალიან ბევრი გააკეთა. ბოლო დარტყმა, რომლითაც მან ტოტი მოჭრა, ის დარტყმა არაა, რომელმაც ყველაფერი გადაწყვიტა, ეს, სინამდვილეში მრავალჯერადი დარტყმების შერწყმაა, რომელმაც საჭირო შედეგამდე მიგვიყვანა. ამიტომაც სედერის ღამით ჩვენ უწმინდურობას (სიტრა ახარა) მრავალ დარტყმას ვაყენებთ. ესაა ოთხი ჭიქა. სედერის ბოლოს ჩვენ აფიკომანს მივირთმევთ, რათა საფესახო სედერის გავლენა მის შემდეგაც დაგვრჩეს. ბრძენთა შორის ოთხი ახსნა არსებობს იმისა, თუ რატომ წარმოვთქვამთ სიტყვებს: „ესე პური სიღარიბისა...“ არამეულად. რიტვა წერს, რომ მაშინ ებრაელების სასაუბრო ენა არამეული იყო და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყველამ გაიგოს, თუ რაზეა საუბარი საფესახო აგადაში. აღდებმაც და პატარებმაც ხომ უნდა გაიგონ ეს? ახლა ჩვენ უნდა ვთარგმნოთ და ავხსნათ ყველაფერი გასაგებ ენაზე. რაში სხვაგვარად ხსნის. ეს ნაწყვეტი არამეულად იმიტომ, რომ ეშმაკებმა არ გაიგონ და არ მოვიდნენ. ბერ ლეიაკოვი ხსნის: ამით ჩვენ ვაჩვენებთ, რომ არ გვჭირდება არც ანგელოზების, არც სხვა ვინმეს დახმარება, რადგანაც ჩვენთან გამ-ნია.

ისმის კითხვა: „როგორია ეს პური სიღარიბისა?“ მაცა სულაც არ ღირს იაფი. და, ამასთან არის აგადის ასეთი ვარიანტიც: „ეს, როგორც სიღარიბის პური...“. ასე წერს რამხამი. მაგრამ ჩვენ არ მივყვებით ამ მოსაზრებას. გვიხსნის ბერ ლეიაკოვი: „წარმოიდგინეთ, რომ ადამიანმა შეესწავლა ლატარიის ბილეთი იპოვა. ერთი კვირის შემდეგ შეამონმა და აღმოჩნდა, რომ ბილეთმა დიდი თანხა მოიგო. ხშირად ადამიანებს ავიწყდებათ, თუ ვინ იყვნენ ისინი მანამდე და ცხვირს მაღლა წევნენ. ეს ადამიანი კი ასე არ მოიქცა. ყოველ წელს იმ დღეს, როდესაც ეს თანხა მოიგო, ჩაიკეტებოდა ოთახში, იცმევდა უბრალო ტანსაცმელს, კითხულობდა თეჰილიმს და იხსენებდა იმ დღეს, როდესაც ღარიბი იყო. სწორედ ესაა „სიღარიბის პური“. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, თუ საიდან მოვედით, ვინ ვიყავით. ჰაშლა ჰაკადოში კითხულობს, თუ რატომ მივირთმევთ „სიღარიბის პურს“? ფესახი ხომ განთავისუფლების დღესასწაულია, არ ეგების ასეთი პურის მირთმევა, მას ხომ თავისუფალი ადამიანები არ მიირთმევენ?! ის გვიხსნის, რომ ამით ჩვენ ვასწორებთ პირველი ადამიანის ცოდვას. ვამტკიცებთ, რომ ჩვენთვის საკმარისია მინიმუმში და ზედმეტი არ გვჭირდება. ასევე უნდა გვესმოდეს სიტყვები: „... რომელსაც მიირთმევდნენ ჩვენი წინაპრნი ეგვიპტეში...“ განა ისინი ეგვიპტეში მაცას მიირთმევდნენ? ებრაელები მაცას მიირთმევდნენ ეგვიპტიდან გამოსვლისას. ევენ უბრა გვიხსნის, რომ ეგვიპტელები ებრაელებს მაცას აჭმევდნენ, რადგანაც დასანაყრებლად ის ცოცხალ საკმარისია. გვეუბნება ვილნოელი გაონი, რომ სიტყვების „ჰალახა ყანია“ - ესე პური სიღარიბისა... გემატრიაა — 210. ასეთივე გემატრია აქვს სიტყვას „რედუ (ავინროვებდნენ). 210 წელი იყვნენ ებრაელები ეგვიპტეში. ამბობს ვილნოელი გაონი: „210 წელს ავინროვებდნენ ებრაელებს“. ნიგნში „სიმხათ ჰარეგელ“ წერია, რომ არსებობს ორი მიზეზი იმისა, თუ რატომ იყვნენ ებრაელები ეგვიპტის გალუთში: ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ იპარავდნენ იმას, რაც ღარიბს ეკუთვნოდა (არ გამოყოფდნენ ღარიბებისათვის მოსავალს). და, გვიხსნის სიმხათ ჰარეგელი, რომ სწორედ ამიტომ დაგვიწერეს ეს ორი ფრაზა „ეს სიღარიბის პური“ და „ყოველი ადამიანი, ვისაც ჰშია, შემოვიდეს და მიირთვას: ყოველი, ვისაც უჭირს, შემოვიდეს...“ ჩვენი ხალხი გამოირჩევა იმით, რომ ეხმარება შეჭირვებულებს, გვერდით უდგას ყველას უბედურებაში. ამით ჩვენ ყველა ვერთიანდებით და ძალასაც ვიძენთ. გილოცავთ ფესახის — თავისუფლების დღესასწაულს. ქაშერი და ბედნიერი ფესახი გქონოდეთ!

### 76 წლის წინათ მეფე ბორის მესამე...



ეს ამბავი ბულგარეთში მოხდა — მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში ფაშისტური გერმანიის მოკავშირე ბულგარეთმა გერმანელებს არ დაანება თავისი ქვეყნის ებრაელები და მეფე ბორის მესამემ მიიღო გადაწყვეტილება დაეცვა ბულგარეთის ებრაელობა — გადარჩა 599 000 ებრაელი. 10 მარტს დედაქალაქ სოფიაში ებრაელობის გადარჩენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა დიდი სახალხო მსვლელობა დევიზით: „ერთად ბულგარეთისათვის, ერთად ევროპისათვის“ მსვლელობის მონაწილეები გამოხატავდნენ მადლიერებას ებრაელობის გადარჩენის საქმეში ბულგარელთა ერთიანობის გამო. ამგვარი ღონისძიება, რომელშიც ებრაული თემის წარმომადგენლები აქტიურობდნენ, არა მხოლოდ დედაქალაქ სოფიაში, ბულგარეთის თითქმის ყველა ქალაქში გაიმართა.


### ისრაელი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ათეულშია

Vesty.co.il იუწყება, რომ აშშ ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა გამოცემამ „US News & World Report“ შეადგინა მორიგი ყოველწლიური რეიტინგი მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოებისა. როგორც ამასწინათ გამოქვეყნებული გამოკვლევა გვაუწყებს, მსოფლიოს უძლიერეს ქვეყანათა ათეულში მოხვდნენ ისრაელი, საუდის არაბეთი და სამხრეთ კორეა. ებრაელთა სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა ცხრა მილიონზე არ არის, ამ ერთობ პრესტიჟულ რეიტინგში მერვე ადგილზეა. პირველ ადგილზე ტრადიციულად მსოფლიოს უძლიერესი და უდიდესი სახელმწიფოები იჭერენ: აშშ, რუსეთი და ჩინეთი. ამათ მოსდევს: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იაპონია. ისრაელი როგორც უკვე ითქვა, მერვე ადგილზეა. მეცხრე — მეათე ადგილს საუდის არაბეთი და სამხრეთ კორეა იკავებენ. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი ჩამორჩება ბევრი განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელს, იგი მაინც ითვლება სამეცნიერო გამოკვლევებისა და მაღალი ტექნოლოგიების განვითარების მსოფლიო ცენტრად.

### ერთობლივი ოპერაცია

უკრაინაში ისრაელის ელჩის ჯოელ ლიონის პრესსამსახური იუწყება, რომ კიევში დააკავეს ისრაელის კრიმინალური — ნარკოტრაფიკის ქსელის მეთაური ამოს დოვ სილვერი. პრესსამსახურის თანამშრომლის განცხადებით ამავე დროს — პარალელურად ისრაელში დაკავებული იქნა დაჯგუფების 42 წევრი. ეს ოპერაცია ერთობლივად ჩაატარეს ისრაელის პოლიციამ და უკრაინის უშიშროების სამსახურის კორუფციასთან ბრძოლის მთავარმა სამმართველომ. უკრაინის უშიშროების საბჭოს პრესცენტრი გვაუწყებს: — სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ 2017 წელს ისრაელის მოქალაქემ ერთ-ერთ სოციალურ მესენჯერში ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებათა ბითუმად გასასაღებლად შექმნა ინტერნეტ-არხი. არალეგალური ბიზნესი წლითი-წლობით ფართოვდებოდა და ასეთი „სავაჭრო მოედნები“ სხვა სოციალურ ქსელებშიც ამოქმედდა. ისრაელის პოლიციის მონაცემებით, ნარკოტიკით მოვაჭრეთა დანაშაულებრივი საქმიანობა გაფართოვდა — მოედო სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას, აზიის, აფრიკის, ევროკავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. სინდიკატის საქმიანობაში 13 ათასი ადამიანი იყო ჩართული.

# ნათელი გზა დიდი მეცნიერისა



გამარჯვებებთან ასოცირდება. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძე იყო საქართველოში ისტორიული კულტუროლოგიის კვლევის ფუძემდებელი, თსუ-ს კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის დამფუძნებელი, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, 250 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებისა და საზოგადოებების წევრი. გურამ ლორთქიფანიძის პედაგოგიური მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ უაღრესად საინტერესო ლექციებითა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებით, არამედ გამოირჩეოდა სტუდენტი ახალგაზრდობისა და პროფესორ - მასწავლებლების მისდამი უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით.

სულ ახლახანს სრულიად საქართველომ საზეიმოდ აღნიშნა ღვაწლმოსილი მეცნიერის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო - პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავი. სამწუხაროდ იუბილე უკანასკნელი აღმოჩნდა.

**პროფესორი სანდრო ნონაშვილი**

გურამ ლორთქიფანიძე, ამ სახელი და გვარის გაგონებაზე უმალ თვალწინ ახოვანი, სანდომიანი, კლასიკური ინტელიგენტის, სიკეთით გასხივოსნებული სახე წარმოგვიდგება. ბევრი ვიფიქრე — ჩემს მეხსიერებაში ბევრი ვეძებე თუნდაც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო უარყოფითი ემოცია, რომელიც ამ პიროვნებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ამოდ. მისი სახელი მხოლოდ სამამულო საისტორიო მეცნიერების, ეროვნული არქეოლოგიური სკოლის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ მიღწევებსა და

**გაზეთ „მენორას“ რედაქცია მკითხველს გულისტკივილით აუწყებს ცნობილი ქართველი მეცნიერის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ამ უნივერსიტეტში ისრაელის ცენტრის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ებრაელთა გულშემატკივარი მეცნიერის — გურამ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას და მკითხველთან ერთად სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

## კვლავაც და კვლავაც!

ისრაელის საავტორო უფლებათა სააგენტო ყოველწლიურად გასცემს პრემიებს იმ ხელოვანთათვის, ვინც გასულ წელს შემოქმედებით ნარმატებას მიაღწია — შექმნა ნაწარმოები, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო. პრემიები გაიცემა კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწეებზე: ლიტერატურა, სიმფონიური და კამერული მუსიკა, საესტრადო სიმღერა და სხვ.

ამ დღეებში გამოცხადდა 2018 წლის საუკეთესო ხელოვანთა სია — სია იმ ავტორებისა, რომელთა ნაწარმოებები ისრაელის საავტორო უფლებათა კომიტეტმა გამოარჩია და საუკეთესოდ სცნო.



კლასიკური მუსიკის ჟანრში წლის შემოქმედებით მიღწევად გამოცხადდა კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის ახალი ნაწარმოები — „ყოველივე სარკეა“ მეცოსოპრანოსა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, რომელიც მავსტრო ზუბინ მეტას სპეციალური დაკვეთით შეიქმნა. „ყოველივე სარკეა“-ს პრემიერა დიდი ნარმატებით გაიმართა 2018 წლის მაისში. ნაწარმოები შეასრულა ისრაელის ფილარმონიულმა ორკესტრმა. სოლისტი გახლდათ თეა დემური (დემურიშვილი), დირიჟორი — ლაჰავ შენი, „წლის მიღწევის“ პრემია ლაურეატებს და მათს შორის, იოსებ ბარდანაშვილს, ფესახის დღესასწაულის წინ — 17 აპრილს თელ-ავივში გამართულ საზეიმო საღამოზე გადაეცა.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია, მისი მკითხველები იოსებ ბარდანაშვილს ულოცავენ შემოქმედებით გამარჯვებას და მრავალ ნარმატებას უსურვებენ.

## ქალაქთა მერების გაერთიანება

ანტისემიტიზმის ტალღის მოძლიერებასთან დაკავშირებით, მსოფლიოს ქალაქების მერები ერთიანდებიან ანტისემიტიზმისა და ანტიისრაელური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ინიციატივას გაუძღვებიან ქ. მოდიინის მერი ხაიმ ბიბისი, ქალაქ ბელ-ზარბორის (ფლორიდა) მერი გაბრიელ გროსმანი და მაინის ფრანკფურტის მერი უევი ბეკერი.



ამ ადამიანებს განზრახული აქვთ გამოაქვეყნონ ანტისემიტიზმთან ბრძოლის სულისკვეთებით აღსავსე განცხადება, რომელსაც ხელს მსოფლიოს 40 დიდი, თუ პატარა ქალაქების მერები მოაწერენ. ამასთანავე ისინი გეგმავენ მთელი რიგი აქციების ჩატარებას, წელიწადში ერთხელ კი იმისთვის შეიკრიბებიან, რომ დაგეგმონ, თუ როგორ ებრძოლონ ანტისემიტიზმს.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია და მისი მკითხველები გამოხატავენ ღრმა გულისტკივილს ნიუ-იორკში ჩინებული მხატვარი ქალის

**როზა ალელიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ნიუ-იორკის ებრაულ თემს.



მამა — ამირანი, მეუღლე — ნანა, შვილები ისაკი, ნაზი მიხელაშვილები, ძმა — მამუკა, დადოდო, სიძეები ნუგზარი, მიხო და გია შვილებით, შვილიშვილებით იუნყებიან ძვირფასი

**ლევ-ელიშვილი**  
**მიხელაშვილის**  
გარდაცვალებას.

ციალა, გურამ ბათიაშვილები, ლანა, გურამ ხარაზიშვილები, ნანა, ია, მაია ხუბელაშვილები, თენგიზ მიხელაშვილი, ლერა, ფიმა კაცობაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებული

**ლევ-ელიშვილი**  
**მიხელაშვილის**  
მამას, მეუღლეს, შვილებს.

